№ 184
შაბათი, 6 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 184
შაბათი, 6 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

**Вышла въ свѣтъ и продается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ новая книга**
ЮРІЯ КАЗИ-БЕКА
**„ВСЕГО ПОНЕМНОГУ"**
очерки и разсказы.
Изданіе **Іасе Рачвели.**
*Цѣна 1 руб., съ пер. 1 руб. 25 коп.*
*Выписывающіе изъ склада. С.—Петербургъ Екатерининская ул. д. № 6—А. Б. Лефеберъ, за пересылку не платятъ.* (1—უ.—1).

**სასწავლებელი მეორე ხარისხისა**
**სპ. ბ. ჯორჯიკიასი**
(ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, №№ 28 და 35).

სასწავლებელი შესდგება სამის მოსამზადებელ და ორის პროგიმნაზიულ კლასისაგან. სასწავლებელთან დაარსებულია პანსიონი და სარეპეტიციო (საღამოს) კლასები როგორც ამავე სასწავლებლისა, ისე გიმნაზიისა, რეალურ და სხვა სასწავლებლების ყველა კლასის მოსწავლეთათვის.

მისაღები ეგზამენები იწყება 20 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—პირველ სექტემბრიდგან.

(10—6.—10)

**სასწავლებელი და პანსიონი**
**გ. ლ. კუზანოვისა.**

მიიღებს მოსწავლეებს 25 აგვისტოდგან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდგან.

მუხრანიანთ და ვანქის ქუჩების კუთხეში, სახლი ყორღანოვისა და ჯანშიევისა, № 12.

(7—170—1)

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში** დაცლილია მათემატიკის მასწავლებლის ადგილი და იმის დაქერის მსურველმა უნდა მიჰმართოს თხოვნით ამ სკოლის ინსპექტორს.

(2—უ.—2).

ქართული შინაური თეატრი
კვირას, 7 სექტემბერს, 1897 წ.
ავლაბარში, ფალავანდოვის ქუჩა, ნარიმანოვის სახლებში
**ალ. თამაზიშვილი** გამართავს სახალხო ქართულ წარმოდგენას.
წარმოდგენილი იქმნება:
I
**ადვოკატი მელაძე**
კომ. 2 მოქ., თარგ. ივ. მაჩაბლისა.
II
**ბაიყუში**
კომ. 2 მოქ., თხზ. ა. ცაგარლისა.
წარმოდგენის შემდეგ იქმნება
**საერთო ლეკური**
დასაწყისი 7 საათზედ.
(2—უ.—2).

## „ივერიის" დღეში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

5 სექტემბერი.

**დუშეთი.** ოლქის სასამართლომ უკვე დააბოლოვა აზნაურის დავით კეზელისა და გლეხის ალექსანდრე მახარაშვილის საქმე, რომელთაც ბარამ შაბურიშვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ ორივე ბრალდებულნი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა: დავით კეზელს—ტობოლსკის გუბერნიაში გადასახლება, ხოლო გლეხს მახარაშვილს—პატიმართა რაზმში გაგზავნა ერთის წლის ვადით.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის პოლიცმეისტერს ლ. პ. მასტიცკის კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელიარიის დირექტორად ნიშნავენ ბ-ნ მიცკევიჩის ალაგას, რომელსაც სხვა თანამდებობას აძლევენ.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის არხივის გარჩევის დროს ამ დღეებში უპოვნიათ ერთი შესანიშნავი საბუთის ქაღალდი. ეს არის უმაღლესი ბრძანება 1806 წლისა გლეხთა გაყიდვის შესახებ. ეს ბრძანება გამოუწვევია სხვა-და-სხვა უთანხმოებას თავადთა შორის ატეხილს გლეხთა გაყიდვის გამო. ამ ბრძანებით განკარგულება მოუხდენიათ 1806 წ., რომ გლეხ-კაცის ფასი შვიდ თუმან ნახევრად უნდა იანგარიშებოდეს. გლეხის დედა-კაცისა-კი იმის ნახევრადაო.

*** რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გაუგზავნა კავკასიის ცნობილ მებაღოსნეთ წეს-რიგი ბაღოსნობის გამოფენისა, რომელიც ოქტომბერში იქნება გამართული მუშტაიდში. კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში.

*** ტფილისში ჩამოვიდნენ რუსულის დრამატიულის დასის არტისტები, სვირსკის მეთაურობით, რომელიც რამდენსამე წარმოდგენას გამართავს ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში. პირველი წარმოდგენა დღეს, 6 სექტემბერს იქნება.

*** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, 11 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ სადილი გაუმართოს საგეოლოგიო კრებაზედ მოსულ გეოლოგებს. სადილი იქმნება ტფილისის კლუბის საზაფხულო დარბაზში, მიხეილის ქუჩაზედ. სადილს დაესწრება სულ 300 კაცი. იმავე დღეს, 6 სექტემბერს, გეოლოგები წავლენ ტფილისიდგან.

*** 8 სექტემბერს, უნდა მომხდარიყო კრება ქალაქის საბჭოსი, მაგრამ რადგანაც ამ დღეს უქმე მოდის, ამიტომ კრება მოხდება ოთხშაბათს, 10 სექტემბერს.

*** გუშინ, 5 სექტემბერს, ქალაქის დამფასებლებმა საცდელად დააფასეს რამდენიმე სახლი ქალაქის მესამე ნაწილისა. ამ დაფასებით აღმოჩნდა, რომ უწინდელ დაფასებაში მრავალი შეცდომა ყოფილა. სხვათა შორის, დააფასეს სახლები დ. სარაჯიშვილისა, სასახლის ქუჩაზედ, თავ. მუხრან-ბატონისა, იარმუკაში და ის სახლი, სადაც „ლონდონის" სასტუმროა. ბ-ნ დ. სარაჯიშვილის სახლი უწინ დაფასებული ყოფილა 114,000 მანათად, ეხლა-კი 185,000 მანათად დააფასეს. ასეთივე განსხვავება აღმოჩნდა სხვა სახლების დაფასებაშიაც. დღეიდგან, ე. ი. 6 სექტემბრიდგან დამფასებელი კომისიები შეუდგებიან სახლების დაფასებას.

*** საუფლისწულო მამულების სამმართველოს საფრანგეთიდგან საუკეთესო შამპანიურის ღვინის დამყენებელი მოუწვევია, რომელიც ამ ჟამად უკვე ჩამოსულა კავკასიაში.

*** მალე ორნაირს კანტროლს შემოიღებენ რუსეთის ყველა რკინის გზებზედ. მგზავრების ბილეთებს კანტროლს უზამენ როგორც სადგუ-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

გარეგანი შეხედულობა ინგლისელისა და ხასიათი.—ოჯახი და კერა.—წესიერება ინგლისელის ოჯახში.—მოსამსახურე და ბატონი.—ბავშვის აღზრდა.—შვილები და დედ-მამა.—ახალგაზდობა.

სადაც უნდა შეხვდეთ ინგლისელს, რა წოდების კაციც უნდა იყოს, იმ წამსვე შეატყობთ—ინგლისელი არისო. იგი მაღალის ტანისაა, პირისახე განიერი აქვს, პრტყელი, წითური, წვერ-ულვაში ქერა, თვალები ცისფერი და წყნარი; სახის გამომეტყველება ამპარტავნული და ამაყი. საშუალო და მაღალ-წოდების კაცთა შორის ბევრი ძლიერ ლამაზია და წარმოსადეგი. საზოგადოდ ინგლისელს პირველ შეხედვითვე ეტყობა ჯანის სისაღე. იშვიათად შეხვდებით ინგლისელს, რომ ახირებული რამ არ ეცვას. ერთს თავზედ ერთი კოკნა ქუდი ხურავს, რომელიც სრულებით არ უხდება იმის გრძელს პირისახეს; სამაგიეროდ ამ ქუდით ძლიერ ეხერხება ვაგონში ძილი; მეორეს უშველებელი განიერი ქუდი ხურავს და გარშემო თეთრი ბლონდი აქვს ჩამოფარებული, მზე არ მომეკიდოსო; მესამეს დიდი წამოსასხამი აცვია, რომელიც ღამე საბნად გამოადგება კაცს. მოგზაურობის დროს მუდამ თან დააქვს დიდი დურბინდი. თუმცა ინგლისელს ძლიერ უყვარს კარგი ტანისამოსი, მაგრამ მოდას არ ემორჩილება და მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ ტანთ-საცმელი სასარგებლო იყოს და არა ლამაზი და მოხდენილი. უცხო ქვეყანაში ხალხი გაკვირვებით შესცქერის ხოლმე ინგლისელს, მაგრამ ის ამას არავითარს ყურადღებას არ აქცევს. სადაც უნდა მოვიდეს ინგლისელი, თვის ჩვეულებას არ უღალატებს და სხვებს არ წაჰბაძავს, პირიქით შეიძლება აქაც გადმოიტანოს თვისი ჩვეულებანი. ერთის სიტყვით, ინგლისელი ყველგან ისე იქცევა, თითქოს თავის სახლში იყოსო.

ინგლისელი ქალებიც უმეტესად მაღლები არიან. ქალებსაცა და კაცებსაც მაღალი ყელი აქვთ, თვალის კაკლები დიდრონი და წინა-კბილები გამოწეული. მაგრამ ეს ახალგაზდა ქალებს არ ამახინჯებს. მეტად სასიამოვნო სანახავია ინგლისელი ქალი რომ ცხენს მიაჭენებს. ამ დროს ახალგაზდა ლამაზის ქალის სახეზედ შიშის ნიშან წყალს ვერ შეამჩნევთ. ამაყად ზის ცხენზედ, გრძელს თმას ქარი უნიავებს და ისე მიჰქროლავს, რომ უნაგირში სრულიად არ ინძრევა. ზოგჯერ კი ინგლისელი ქალი უშნო შესახედავია, განსაკუთრებით შუა ხნისა და მოხუცებული. თვალის კაკლები თითქოს ბუდიდგან უნდა გადმოვარდესო, წინა კბილები ისე აქვს გამოწეული, რომ პირი ვერ მოუკუმავს.

თითო ოჯახი ცალკე სახლში სცხოვრობს, ან ორ-სართულიანსა ან სამ-სართულიანში. მაშასადამე, ოთახები ისე არ არის გამართული, როგორც ჩვენ ვიცით, არამედ ერთი-ერთმანეთზეა. ქვემოდ დერეფანია, რომელიც მდიდარ კაცების სახლებში მორთულია ხოლმე ყვავილებითა და სხვა-და სხვა ქანდაკებით. რაც უნდა ღარიბი იყოს კაცი, იატაკი უეჭველად ხალიჩებით აქვს დაგებული; თუ ოთახში იატაკზედ ხალიჩა ან კლეონკა მაინც არ აგია, ეს დიდის სიღარიბის ნიშანია. დერეფანის გვერდზედ ოჯახის პატრონის კაბინეტია; აქვე, ქვემო სართულშია უმთავრესი ოთახი—სასადილო. (ხშირად სასადილო ოთახი შუა (სართულშიაც არის ხოლმე), სასადილო ოთახში დიდი ბუხარია, რომელიც დილიდგან დაწყებული შუაღამემდე ანთია. ამ ბუხართან შეგროვდება ხოლმე მთელი ოჯახი. აქა საუზმობენ, სადილობენ, სვამენ ჩაის; დიასახლისი აქვე გასცემს ხოლმე მსახურთ ყოველგვარ ბრძანებას, ქალები მუსიკას უკრავენ და მღერიან. ბუხარი ანთია და სინათლესა ჰფენს ოთახის ძვირფასს მოწყობილებას. მთელი ერთი კედელი დიდს ბუფეტს უჭირავს. ბუხრის თავზედ დიდი სარკეა. საზოგადოდ, ინგლისელის სახლში ძლიერ ბევრი სარკეა ხოლმე, რაც უნდა ღარიბი ოჯახი იყოს. სარკე ჰკიდია, ბუხრის თავზედ და თითოეულ შკაფის თავზედ.

მეორე სართულში დიდი ზალაა და სასტუმრო ოთახი. ავეჯი მთელს სახლში ძვირფასია; მაგიდებზედ მშვენიერი ალბომები აწყვია საუცხოვო სურათებით. ინგლისელი მუდამ იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ რაც შეიძლება კარგად მოეწყოს თავისთვის და სრულებითაც არა ჰფიქრობს ისე მოავაწყო სახლი, რომ სხვას მოვაწონოვო.

მესამე სართულში საწოლი ოთახებია და ეს ოთახები ყველაზედ კარგადა და მდიდრულად არის მორთული, თუმცა ინგლისში სრულებით არ არის მიღებული, რომ ამ საწოლ ოთახში უცხო კაცი ვინმე შევიდეს. თითოეული ოთახი მოფენილია დიდისა და მშვენიერის ხალიჩით. საწოლ ტახტთან დაგებულია მეორე ხალიჩა და ზედ კიდევ კლეონკა აგია; ასეთი პატარა ხალიჩები დაგებულია ყველგან, სადაც კაცი უნდა გაჩერდეს და დაჯდეს. მთელი ოთახი სავსეა ტუალეტისათვის გამოსადეგ სხვა-და-სხვა საგნებით: პირისაბანი, სხვა-და-სხვა ზომის ჭურჭელი ცხელისა, თბილისა და ცივის წყალისთვის, სხვა-და-სხვა სიდიდის ჩოთქები, სასაპნეები, გრაფინები, ჭიქები, პირსახოცების ჩამოსაკიდები და სხვა.

რების მსახურნი, ისე კონდუქტორებიც.

*** სადგ. ქობულეთი. საშინელ ნიაღვრებისა გამო, რომელიც 3 და 4 სექტებერს განუწყვეტლად მოდიოდა, ადგილ-ადგილ მიწის ზვავები წამოვიდა გვირაბის მახლობლად მე-90 ვერსზედ და დილის 11 საათზედ, 4 სექტემბერს, მე-68 ვერსზედ ლიანდაგი მთლად გადარეცხა; მე-68 ვერსის ერთი ნაწილიც მთლად წამხდარია. ორი დღეა მატარებლები მხოლოდ ქუთაის-სამტრედიამდის მიდიან და ბათუმიდგან მატარებელი არ ჩამოსულა ტფილისში.

*** სოფ. ნაჯახოვი (სენაკის მაზრა). არ იქნა არა გვეშველა-რა და არ შეკეთდა ერთად ერთი გზა ჩვენის სოფლისა. დგება ზამთარი და ჩვენ გაჭირვებასაც არ მოეღება ბოლო. ისეთ ნაირად იცის ამ გზამ ატალახება, რომ ცხენიანს კაცსაც უჭირს გავლა და ქვეითად მოსიარულე ხომ ყელამდის იფლობა ხოლმე ლაფში. ნეტა როდის მოეღება ბოლო ჩვენს ტანჯვა-ვაებას და ვინ გამოიდებს თავს ამ გზის შეკეთებამოკირწყვლისათვის.

*** 21 აგვისტოს ს. ყვარელის მახლობლად ნაკადებში ძველის გავაზის მცხოვრებს გლეხს ნიკო ზაალაშვილსა და მიხა თაგვაშვილს ჩხუბი მოუვიდათ; ჩხუბის დროს ზაალაშვილი ორს ადგილას დასჭრა ხანჯლით თაგვაშვილმა.

*** სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირის მცხოვრებთ ძმათ ნიკო და სვიმონ ბეიტრიშვილებმა ჩხუბის დროს საშინლად დააშავეს თავისივე ძმა გიო, რომელიც ამ ჟამად საშიშს მდგომარეობაშია.

*** 16 აგვისტოს, სოფ. ხურვალეთში (გორის მაზრაშია), აზნაურს დავით ქარუმიძესა და გლეხს ზაქარა აძისანაშვილს ვილაცამ თივა და პურის ზვინები დაუწვა. ზარალი 650 მანათამდეა.

*** 3 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, მე-7 ნაწილში მტკვრის პირად, ქალაქის საყასბოს მახლობლად მკვდარის დედაკაცის გვამი იპოვნეს, რომელიც მაშინვე ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს ანატომიურს მუზეუმში გაჰგზავნეს. როგორც შემდეგ შეკრებილმა ცნობებმა აღმოაჩინა, იგი სოფ. მარტყოფის მცხოვრები მელანია კალატოზოვისა აღმოჩნდა. მელანია კალატოზოვისა 2 სექტემბერს ჩამოსულა ტფილისში საექიმოდ, თავისს ნათესავებთან ჩამომხტარა მე-8 ნაწილში და საღამოს სადღაცა წასულა; ამის შემდეგ უკან აღარ მობრუნებულა, გვამს ძალდატანებითი სიკვდილი არ ეტ-ყობა.

## წერილი ცხინვალიდგან

ავაზაკების დაჭერა გორის მაზრაში.

გორის მაზრაში საშინლად გახშირებულია ავაზაკობა და მისნი მომქმედნი, რომლებიც თამამის თარეშობით თავს ზარს სცემენ აქაურ მცხოვრებლებს. აქ რომ ვერ დაიკმაყოფილებენ ხოლმე თავისს სურვილებს, გადადიან იმერეთში, იკლებენ იქაურობას და ჰბრუნდებიან უკან. პოლიცია თითქმის ულონო შეიქმნა ამათ ასალაგმავად. მისმა შრომამა და მეცადინეობამ ვერაფერი გააწყო. ამდენის ხნის პოლიციის უნაყოფო მოქმედების შემყურებელს ნება ჰქონდა ეფიქრა, რომ ავაზაკობას და ძარცვა გლეჯვას დასასრული აღარ ექმნება და უშიშრად ცხოვრების იმედი სამუდამოდ დაეკარგა. ეს ერთი კვირაკი კარგი არ დაუდგათ ყაჩაღებს, რამაც ცოტა არ იყოს იმედი დაუბრუნა იმათგან დაშინებულებსა. ფუხაშვილმა, როგორც მოეხსენება „ივერიის“ მკითხველებს, დალია სული ერთის გლეხ-კაცის წყალობით 23 აგვისტოს. 26 აგვისტოს მისი ნაამხანაგარი სავი თედეშვილი, გიგილაშვილი და ვანიშვილი მივიდნენ სოფელ ქემერტში ერთი ოჯახის გასაძარცვავად, მაგრამ იაფად არ დაუჯდათ თამამობა და თავხედობა. გლეხებმა წამოუსვეს კეტებს ხელი და დაუშინეს სახლში ჩამწყვდეულს ავაზაკებს. გახდა ერთის მხრით კეტების და მეორეს მხრივ ხანჯლების ტრიალი. კეტებმა აჯობა. გიგილაშვილი იქვე უსულოდ დაეცა, სავი თედეშვილს თავი გაუტეხეს და ამასაც და მეორე იმისს ამხანაგსაც ბოლოს მოუღებდნენ, ერთი უბრალო მიზეზი რომ არა ყოფილიყო: კეტი, რომელიც სავის თავში დაარტყეს, გადატყდა და გლეხი დარჩა ხელ-ცალიერი. ამითი ისარგებლა თედიშვილმა და მუცელში ხანჯალი დაჰკრა. დაჭრილმა დაიყვირა „მომკლესო!“, ყველანი იმას მისცვივდნენ საშველად, ავაზაკებსაც ეს უნდოდათ, ისარგებლეს არეულობით და გაიქცნენ თავ-პირ დამტვრეულნი.

გაიგეს თუ არა ეს ცხინვალში, მაშინვე წავიდა ჩაფრების უფროსი ავალიანი ჩაფრებით და დაუწყო დევნა კვალ-და-კვალ; სოფ. თორმანეული 15—18 ვერსზეა ცხინვალიდან, და ეჭვი მიიტანეს, რომ იქვე ტყეში უნდა იყვნენ ავაზაკებიო. ავალიანმა შემოარტყა ტყეს ირგვლივ ჩაფრები და დაიწყეს ნელ-ნელა შუა ტყეში შესვლა. უეცრად ავალიანს ერტის ორმოდგან ნელის ხმით ლაპარაკი მოესმა. მიუახლოვდა და დაინახა, რომ ქემერტის გმირები სადილს შეექცეოდნენ. იქვე ისხდნენ ერთი დედაკაცი და ორიც სხვა კაცი (ერთი იმათგანი ამ დედაკაცის ქმარია, მეორე—მისი მეზობელი). ამათ მიეტანათ სადილი. ავალიანმა უცებ იძრო თოფი და დაუმიზნა. საუბედუროდ, თოფმა უმტყუნა. ამ დროს წამოვარდა თედეშვილი და ხანჯლით უნდა მოეკლა ავალიანი. ავალიანმა ხელის კვრით ხანჯალი აიშორა, მაგრამ მხარში მაინც დაიჭრა. მერე ხანჯლის წართმევის დროს ხელიც გაეჭრა. დაჭრილმა ჩაფრებს ხმა მისცა, „მომეშველეთო!“, თედეშვილი კი ისევ იქ მიიმალა. ავალიანმა თავი არ დაანება და ცხინვალში კაცი აფრინა,—დამეხმარეთო. ბოქაული წინა დღით გორში დაიბარეს და ამისათვის იმისი მოადგილე ი. მაჭავარიანი გაეშურა ჩაფრებით. ამათის მიახლოვების დროს გამოჩნდა თედეშვილი, რომელიც ტყე-ტყე მიიპარებოდა. ესროლეს და დასჭრეს ფეხში. ამისდა მიუხედავად, იმან კიდევ გაირბინა თითქმის ორი ვერსი, მეტი კი ვერ შესძლო: შეუღონდა გული და დაეცა. იქ ახლო-მახლო გლეხები ყოფილიყვნენ, რომელთაც თედეშვილი შეეხვეწა, აიღეთ ჩემი თოფი და ხანჯალი და უთხარით ჩაფრებს, რომ მე უიარაღო ვარ, ნუ მომკლავენო. დაიჭირეს თედეშვილი. დაიჭირეს აგრეთვე იმისი მასპინძელი ქალი და ორი კაცი. იმ ღამეს იქ უდარაჯეს მეორე ავაზაკს, რომელმაც გაპარვა მოასწრო. მეორე დღეს, 31 აგვისტოს, თედეშვილი ჩამოიყვანეს ცხინვალში და დააწვინეს საავადმყოფოში. ტყვია ჯერ არ ამოუღიათ, რადგანაც ავადმყოფი საშინელს ტკივილებს ჰგრძნობს. თედეშვილი 22—23 წლისაა, წარმოსადეგი, ლამაზი და ღონიერი. დღეს, 2 სექტემბერს, ბოქაულმა იგი ურმით გორში წაიყვანა.

აქ ერთი რამ არის საკვირველი: პოლიცია ავაზაკების დაჭერაში ვერაფერ ღონესა და ხერხს იჩენს, მაგრამ რაც ვერ შესძლო პოლიციამ თავისის ჩაფრებითა და ბერდანის თოფებით, ის ჩინებულად შეასრულეს გლეხებმა კეტებით: ფუხაშვილი რამდენიმე წელიწადი თარეშობდა და დღესაც იქნებოდა, რომ შემთხვევით გლეხს არ მოეკლა; გიგილაშვილი მოჰკლეს გლეხებმა, თედეშვილსაც ვერ დაიჭერდნენ, რომ იმავ გლეხების წყალობით თავი არ ჰქონოდა გატეხილი.

ს. მ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ბეჟანიანი**, (კახეთი). ბეჟანიანი თუმც ახალშენი სოფელია, მაგრამ მისნი მკვიდრნი კახეთის სხვა სოფლების მკვიდრ მცხოვრებლებზედ გაცილებით მოწყობილ-გამართულნი არიან. აქ მისდევენ მევენახეობას, მებრეშუმეობას, მოჰყავთ თამბაქო, ჭვავი, სთესვენ და სხვ. განვიზრახეთ ჩვენც მამასახლისა და მღვდელთან საზოგადოება შეგვედგინა. ამ აზრით შეიკრიბა საზოგადოება ადგილობრივ სასამართლოს ეზოში. ბ. ნმა კ. მაქაძემ დაახლოვებით შემდეგი სთქვა: ბ-ნებო! ის, რაც მე თქვენ უნდა მოგახსენოთ, გთხოვთ ყურადღებით მოისმინოთ და თუ შესაძლებლად და სასარგებლოდ დაინახავთ, განახორციელოთ თქვენს საყვარელს და მრავალფერ ბუნებოვანს სოფელში. ჩვენ, ქართველები, ძველს დროში განთქმულნი და ერთგულნი მამულის მცველნი ვიყავით. ერთის მტკაველის მიწის წართმევა რომ მოესურვა რომელსამე მოსამზღვრე ერს, დიდი და პატარა, კაცი და ქალი, ამხედრდებოდით მახვილით ხელში, უკანასკნელს სისხლს დავღვრიდით და საყვარელს სამშობლო დედამიწას მტერს არ დავუთმობდით. გავიდა ხანი, იცვალნენ დრონი და აწ რას ვხედავთ? არამც თუ მტკაველი მიწა, არამედ ზვრები, საუკეთესო მთა-ველი გადადის მოსამზღვრე მეზობლების ხელში. ჩვენ ამ მოვლენას თუმცა მწუხარებით ვამჩნევთ, მაგრამ არა ვცდილობთ თავი დავაღწიოთ ამ სამწუხარო გარემოებას ჩვენის ცხოვრებისას და არ გვინდა მეღვთისწრად ვამცნოთ ჩვენს მეტოქეებს, რომ ქართველს ერს შეუძლიან იგივე მამაცური ბრძოლა და თავის დაცვა თანამედროვე ცხოვრებაშიაც, როგორც ძველს დროში, გარნა ეხლა ხმალ-ხანჯალი და თოფ-ზარბაზანი აღარ არის საჭირო. ეხლა საჭიროა გონივრული შრომა, ნაშრომის ზომიერად მოხმარება და დაზოგვა, გაუმჯობესებულის მეურნეობის შესწავლა, აღებ-მიცემობა და სხვანი, შრომა, იცოცხლეთ, ქართველს გლეხ კაცს არ აკლია, მხოლოდ ნაშრომის დაზოგვისა, დაფარვისა და აღებ-მიცემობისა რა მოგახსენოთ! ჩვენდა სამარცხვინოდ, თითქმის მთელის კახეთის ვაჭრობა მეზობლების ხელშია, იმათ თითქმის ბუნებად გადაჰქცევიათ მონაგარის დაზოგვა და ეს თვისება ხომ თავდებია თანხის შეკრებისა, რომლის უქონლობაც ჩვენ, ქართველებს, გაჭირვებაში ასე უღმერთოდ ქედს გვახრევინებს ხოლმე. რაც მე უნდა გირჩიოთ, ვერ ვიტყვი, რომ სისრულით გაასწორებდეს ჩვენს ცხოვრებას, მხოლოდ იგი საუკეთესო საშუალებაა შევასწავლოთ, თუ აღებ-მიცემობა რა საჭიროა ჩვენთვის და რა ძალა აქვს ყოველთვის ნაღდს ფულს—თანხას. მე გთხოვთ ყველამ გამოიღოთ თქვენი წვლილი, შევადგინოთ თანხა, დავაარსოთ დუქანი, დავიწყოთ ვაჭრობა და ამ შეერთებულის ძალით მოქმედების შემდეგ გულნაკლულად არ დავგტოვებს, იგი თავისდა მიუხედავად თვალ სანიმნო იქნება... მაშ გახსენით ღმერთი და ჩვენს საქმეს ჩვენვე მოუაროთ. ჩვენს შვილებს შევასწავლოთ აღებ-მიცემობა და რამდენისამე ათის წლის

---

მეოთხე სართულში ოთახებია ყმაწვილებისა, გადიებისა და გუვერნანტკებისათვის. თუ მეხუთე სართულიც არის, აქ პატარა ოთახებია მოწყობილი ნათესავებისა და ახლო ნაცნობთათვის ღამის გასათევად.

პირველ სართულიდგან კიბე ჩადის სულ ქვემო სართულში; აქ არის სარდაფი, სამზარეულო და მოსამსახურეების ოთახები.

როგორც მთელს სახლში, აქაც საოცარი სისუფთავე სუფევს: იატაკი დაფენილია ფერადის კლეონკით, ფანჯრებს ბლონდის ფარდები აფარია, ყველგან ყვავილები დგას. სამზარეულოს წინა ოთახში დიდი ბუხარია: ზამთარში ბუხარი მთელს დღეს ანთია, მოსამსახურეებიც, როგორც ბატონები, თავისუფალ დროს ამ ბუხარს მოუჯდებიან ხოლმე. თითოეულს მსახურს, ქალი იქნება იგი თუ კაცი, თვისი თანამდებობა აქვს მიჩენილი. ყოველივე საქმე თანასწორად არის განაწილებული მსახურთა შორის. ყველამ იცის, რომელ საათსა და წუთს იწყება მისი მოვალეობა, რა საქმე აქვს მიჩენილი და რა დროს ათავებს სამსახურს. მსახურმა წინადვე იცის, რამდენჯერ უნდა შევიდეს ბატონის ოთახში და რა დროს რა უნდა გააკეთოს.

მდიდარ კაცების ოჯახებში ბატონი თავაზიანად ექცევა მსახურს, მაგრამ ძლიერ ამაყად კი. ინგლისელს მეტად შეეზიზღება, რომ ისეთი ბატონი ჰნახოს, რომელიც მოსამსახურეს დაუყვირებს და ფეხებს დაუბრახუნებს. მაგრამ ამასთანავე ისიც ძლიერ გაუკვირდება, ბატონი რომ მეგობრულად მოექცეს მსახურს. ინგლისელი ისე უყურებს თავისს მოსამსახურეს, თითქოს იმის წინ მანქანა რამ იყვესო. რის უფლებაცა აქვს, მოსთხოვს და მერე ზედაც არ შეჰხედავს. ბატონს არც-კი უნდა იცოდეს, რა ხასიათის პატრონია მისი მსახური, რას აკეთებს იგი თავისუფალ დროს, სად როდის წავა და მოვა. არც მაშინ მიაქცევს ყურადღებას, მსახურს რომ დარდი რამ ეწვიოს ან დიდი უბედურება, ეს ბატონის საქმე არ არის. მიუხედავად ამისა ბატონს თავისს მოვალეობად მიაჩნია სულიერი მოძღვრობა გაუწიოს მსახურთ, თუმცა ამ მოვალეობის ასრულებას მარტო გარეგნობით ასრულებს. ყოველ კვირა დღეს მოსამსახურენი შეგროვდებიან ხოლმე სასტუმრო ოთახში. აქვე თავს იყრის მთელი ოჯახობა. ოჯახის პატრონი ხმამაღლა კითხულობს დაბადებას და მერე ლოცვას, რომელიც ყველამ ხმა მაღლა უნდა გაიმეოროს. მერე მოსამსახურენი მძიმედ თავს დაუკრავენ ოჯახის პატრონს და წყნარად წავლენ თავიანთ ოთახებში.

იმის წყალობით, რომ მოსამსახურეთა შორის ყოველივე საქმე განაწილებულია, ყველას საკმაოდა რჩება თავისუფალი დრო. ბევრი მათგანი დადის რომელსამე კლუბში და სხვა და-სხვა საზოგადოების წევრადაც ითვლება. ზოგიერთ მდიდარ ოჯახში საგანგებოდ მოსამსახურეებისათვის გამართულია ბიბლიოთეკა და ცალკე ოთახი, სადაც ჰადრაკსა თამაშობენ. სადილის შემდეგ მოსამსახურეებს რიგით შეუძლიანთ სახლიდგან წასვლა.

ასეთივე ოფიციალური დამოკიდებულება სუფევს ბატონებსა და ბავშვების აღმზრდელთა შორის. მაგალითად, გუვერნანტკა ბატონებთან ერთად საუზმობს, მაგრამ სადილს ცალკე სჭამს ბავშვებთან და მათთანვე სვამს ჩაის და ყავას. თუ ბატონებმა არ მიიწვიეს, გუვერნერი ან გუვერნანტკა მათთან არ მივა და ბატონებიც იშვიათად ექცევიან ისე, როგორც ოჯახის წევრთ. ბავშვების აღმზრდელნი მოვალენი არიან თავის მოწაფეებთან იყვნენ და ბატონების ლაპარაკში არ უნდა გაერიონ.

დილით ყველანი ერთად ჩაისა სვამენ და საუზმობენ. მაგიდა გადაფარებულია თოვლივით თეთრის სუფრით. ზედ აწყვია მრავალგვარი ჭურჭელი. ჭურჭლის სილამაზე და სიუხვე ინგლისის ოჯახის კუთვნილებაა, დიასახლისის ადგილასა სდგას დიდი სინი მაღალის ჭურჭელითა და ჩაიდანით ძირს, ცეცხლზედა სდგას დიდი ქვაბი ადუღებულის წყლით. ინგლისელები სამოვრის მაგიერად ქვაბსა ჰხმარობენ. მთელის ოჯახის წევრნი ბავშვები, მამა, დედა, ერთის სიტყვით, ყველგან რიგიანად ჩაცმულნი მოდიან ამ ოთახში და თავთავიანთ ალაგას სხდებიან. შემოვა თუ არა ოთახში დიასახლისი, საუზმეს შეუდგებიან. ამ დროს მთელი ოჯახობა ისე წყნარად და მშვიდობიანად იქცევა, თითქოს ეკკლესიაში წირვის დროს იყვესო, ოჯახის თითოეულ წევრს ერთხელ და სამუდამოდ დანიშნული აქვთ თვისი ადგილი. მთელი ინგლისი რომ შემოიაროთ, ყველა კარგს ოჯახში ნახავთ ბუხარსა, ბუხრის თავზედ დიდს სარკეს და აქეთ-იქიდგან ზარის დასარეკს ტარს. სუფრის თავში ერთის მხრიდგან მამის ადგილია, მეორეს მხრიდგან დედისა. მამისაგან მარჯვნივ უფროსის ქალის ადგილია, მარცხნივ უფროსის ვაჟისა; დედასთან უნცროსი ბავშვები სხედან. მოუსხდება თუარა ოჯახობა მაგიდას, გაიღება კარი, შემოვა მოახლე და შემოიტანს დიდს სინს, ვერცხლის ხუფით დახურულს. საუზმეზედ ან შემწვარი ხორცი უნდა იყოს, ან თევზი. ვიდრე თეფშებზედ საჭმელს გადიღებენ, ყველას შემოუვლის ვერცხლის სინი შემწვარის პურის ნატეხებით. ინგლისელს საუზმედ უნდა ჰქონდეს: კვერცხი, ლორი, ხბოს ხორცი დაკეფილი და ბივშტეკსი. პურს თეთრსა ჰხმარობენ. შავს პურს ღარიბის ოჯახშიაც ძნელად შეჰხვდება კაცი.

შემდეგ ვათქმევინოთ ყველას, რომ საქართველოს ვაჭრობა ქართველებისვე ხელშია და ჩვენის ბუნების სიმდიდრით სხვა აღარ გავახაროთ“!

მთელმა საზოგადოებამ ერთ-ხმივ და სიხარულით მიიღო ეს წინადადება, გაიმართა ბჭობა, რა წესით შემდგარიყო საზოგადოება, და ადგილობრივ ინტელიგენციის დახმარებით აქვე შეადგინეს საჭირო საბუთის ქაღალდები, გინდ ამხანაგობა ოფიციალურად დამტკიცდება. გაიმართა ხელის მოწერა იმის ცნობაში მოსაყვანად, თუ ვინ რამდენს ფულს შემოიტანდა მომავალ საზოგადოების სამოქმედო თანხისთვის. წლის ფული თუმნია. თავად გ. ვახვახიშვილმა შეიტანა 50 პაი—500 მან., რამან მირიანაშვილმა 200 მ., მღ. ნ. მირიანაშვილმა 200 მ., დავ. უიფაანმა—100 მ., გლეხმა მ. გლოოვანმა—100 მ., გლეხმა ი. ჭანკოტაძემ—50 მ., გლ. ივ. ვოიჩენკომ—600 მ., ქ. ან. გახიძისამ—200 მ., აზ. ალ. ჯაფარიძემ—100 მ., მიხ. ჯაფარიძემ—100 მ., გლ. დ. ანდრიაშვილმა—100 მ., ს. ოჭანეზოვმა—600 მ., გლ. გ. მამულაიშვილმა—30 მ., გლ. ალ. ლომიძემ—50 მ., გლ. ივ. პაპიევმა—10 მ., სოფლის მწერალმა ს. დავითაშვილმა—50 მ., ექ. მიქელაძემ—10 მ. სულ შესდგა 3,000 მან. თანხა. არჩეულ იქმნა ხაზინადარი, რომელსაც ზოგმა ფული უკვე წარუდგინა და დაჰპირდნენ ბ-ნს მიქელაძეს, რომ მომავალს წლამდის ამ თანხას 5000 მანეთად ვაქცევთო. ახალ წლიდგან დაიწყებს ეს ახალი საზოგადოება მოქმედებას ს. ბეჟანიანში (ახალსოფელი), რისთვისაც დაქირავებულ იქმნა მშვენიერი შენობა თავისის მარნით, ბეღლით, ოთახებით და სავაჭროფართო ეზოთი სოფლის შუაგულს ადგილას,

ახალსოფლელი

# რუსეთი

—

როგორც გაზ. „ს.-პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს გაუგონია, განზრახვა თურმე აქვთ წარმოებისავე ადგილას პურზედ სესხი გასცენ ხოლმე და რუსეთის რკინის გზებზედ პატარა პურის საწყობები გამართონ. აზრადა აქვთ ამითი პურის საქმე განაკარგონ, რომ რკინის გზებზედ ზოგიერთს ადგილას ძალიან ბევრი არ ინახებოდეს პური.

— რკინის გზათა სამმართველოსთან საგანგებო კომისიის სხდომები, რომელსაც ადგილობრივ რკინის გზათა ამ მომავალ 1898 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა აქვს მინდობილი, ამ დღეებში დაიწყება. ამ სხდომებში ფინანსთა სამინისტროსი, სახელმწიფო კონტროლისა და რკინის გზათა წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას.

— განზრახვა აქვთ, გზათა ინჟენერებს და აგრეთვე გზათა უწყების მოხელეთ ფორმა შეუცვალონ. ამ აზრით მინისტრის კანცელარიასთან უკვე შესდგა საგანგებო კომისია, რომელსაც ახალის პროექტის შემუშავება აქვს მინდობილი.

— საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის საეთნოგრაფიო და საანთროპოლოგიო მუზეუმის გადაკეთება აკადემიკის დ. ნ. ანუჩინისათვის მიუნდვიათ.

— საიმპერატორო სახალხო წიგნთსაცავის მკითხველთა რიცხვი პეტერბურგში წლითი-წლობით თან და თან იზრდება. ამ ჟამად, მაგალითად, 10,000 კაცსა აქვს უკვე აღებული წიგნთ-საცავში სასიარულოდ ბილეთი, რაიცა შარშანდელთან შედარებით 600 მეტია. უფრო მეტი ხალხი დაიარება კვირა-უქმე დღეებში.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი და სომხები.** გაზეთ „Berl. Tageb.“-ში ვრცელი წერილია დაბეჭდილი სომხების შესახებ, რომელშიაც ავტორი ამტკიცებს, რომ სომხების მოძრაობას არც პოლიტიკური და არც სარწმუნოებრივი ხასიათი არა აქვსო. ავტორის აზრით, ამ მოძრაობის მიზეზი და დასაწყისი ეკონომიურ ნიადაგში უნდა ვეძიოთო. „სომხები და ოსმალები თავიანთის ხასიათით ერთი მეორეს ავსებენ, მაგრამ იმ განსაკუთრებულს თვისებათ, რომლითაც სომხები არიან დაჯილდოვებულნი და ოსმალები-კი მოკლებულნი, შეუძლიანთ მხოლოდ მფლობელი ერი აალელვოს სხვა ერთა წინააღმდეგ. მხნეობა, ხელმომჭირნეობა, მეცადინეობა და ვაჭრობის სიყვარული ჰქმნის სომეხს ბუნებით ვაჭრად, ბანკირად და შუამავლად და ეს გარემოება-კი უპირატესობას აძლევს სომეხს ყოველგვარ ფულის საქმეში ამაყსა და დაუდევარს ოსმალოზედ. ასეთის ხასიათით დაჯილდოვებული სომხები მუდამ სცდილობდნენ და სცდილობენ ისეთს ადგილებში დასახლდნენ, სადაც მეტის სარგებლობის გამოტანა შეიძლება, საზოგადოდ ოსმალთაგან და კერძოდ ოსმალთა მაღალი საზოგადოების წევრთაგან. ოსმალეთის იმპერიის ორ მილიონ სომეხთ მიანებეს თავი სომხეთს და ამ ჟამად მეოთხედზედ მეტი კონსტანტინეპოლსა და სხვა დიდ ქალაქებში სცხოვრობს. გაიძვერობისა და სხვა ათასგვარ ხრიკების წყალობით სომხებმა სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობანი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ისინი ყოველს საშუალებასა ხმარობენ თავიანთ მოძმეს და ნათესავებს კარგი ადგილები ჩააბარონ და თუ ასეთი ადგილები არ აღმოჩნდება, სცდილობენ ამათთვის ახალი თანამდებობანი დააარსონ.

აი, სომხების ასეთმა საქციელმა aაღელვა ოსმალთა მაღალი საზოგადოება და ნება-უნებურად ხელი გაალებინა იმათს წინააღმდეგ. ამ ორის ერის დაბალ წოდებათა შორის სიძულილიც ეკონომიურმა გარემოებამ დაჰბადა. მართალია, დაბალი წოდება ოსმალეთში, მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია, სომეხი იქნება იგი თუ ოსმალო, მაგრამ ზემო დასახელებულ თვისებათა წყალობით სომეხი აქაც პირველობს და ყველაფერში ოსმალოს ცალიერზედა სტოვებს. აშკარაა, ამის შემდეგ, რომ სომეხთა და ოსმალთა შორის არსებულს სიძულილში სარწმუნოების სხვა-და-სხვაობას არავითარი ადგილი არა აქვს. გარდა ამისა, ოსმალები კარგად სცნობენ მორწმუნე ბერძენს სარწმუნოების საქმეში დაუდევარს სომხისაგან და განასხვავებენ კიდეც ერთმანეთისაგან. არც ის შეიძლება ითქვას, რომ სომხების მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი აქვსო. ასეთს ხასიათს ამ მოძრაობას უცხო-ქვეყნის აგენტები აძლევენ. საკმარისია ცოტაოდენი დაკვირვება და სომხების გაცნობა, რომ კაცმა აშკარად დაინახოს, თუ სომხებს რამდენად არ ეინტერესებათ პოლიტიკური საგნები. სომხები მოკლებულნი არიან პატივისა და დიდების მოყვარეობას, ურომლებოდაც შეუძლებელია პოლიტიკურად თავ-გამოდება: მთლად იმათი ისტორია სამასისა თუ ოთხასის წლის განმავლობაში მჭიდროდ დაკავშირებულია ოსმალეთის ისტორიასთან, ასე რომ ეროვნული გრძნობა იმათთვის უცნობი და გაუგებარი რამ არის. გარდა ამისა, ვინ გამოიდებს ხელს სომეხთა თვით-არსებობისათვის? ნუ თუ ის ვაჟბატონები, რომელნიც ოსმალეთის სამინისტროებში სკამებსა სცვეთავენ? ან იქმნება ისინი, რომელთაც კუპონების ჭრის მეტის სხვა არა გაუკეთებიათ-რა თავიანთ სიცოცხლეში? გლეხ-კაცობა და საერთოდ დაბალი ხალხიც მოკლებულია იმ იდიალიზმს და თავ-განწირვას, ურომლისობაც ამ საქმეში შეუძლებელია“. ავტორის სიტყვით, პოლიტიკური ხასიათი სომხების მოძრაობას უცხო ქვეყნის აგენტებმა დასდეს, რომელნიც ამ საქმისათვის ფულს არა ჰზოგავენ. არის ისეთი სახელმწიფოები, რომ ღთათვისაც მეტად გამოსადეგი და სახეიროა ოსმალეთში საქმეების არევ-დარევა და უთანხმოების აღძვრაო.

# დამაკვირდი

აგვისტო ხილს ამწიფებს და სექტემბერი-კი ჰკრეფს.

იტალ. ანდაზა

* * *

ჭეშმარიტად გონიერი ადამიანიო, ამბობს პლატონი, სჯის არა ცოდვისათვის, არამედ ცოდვისაგან გასაფრთხილებლად.

სენეკა

* * *

ვინც თავისს საქციელს გულშივე არა სწონავს საიდუმლოდ, მან საქვეყნოდ უნდა მისცეს მისი ანგარიში.

პიერემონტი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მეტად საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი გაზეთებში ამერიკის შეერთებულ შტატების შესახებ. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მთელის ამერიკის მცხოვრებთა მერვედი მეურნეობას მისდევს. სულ ამერიკაში ყოფილა 4,564,641 ფერმა, ღირებული 26 მილიონ მანათად. ეს ფასი მთელის ამერიკის სიმდიდრის ერთს მეხუთედს შეადგენს; ამერიკელებს უპირველესი ადგილი უჭირავს მთელს დედამიწის ზურგზედ მეურნეობის მხრივ და იქ რომ პური არ მოჰყავდეთ, ევროპას ძლიერ გაუჭირდებოდა გამოკვება. ინდოეთი ხომ მთელს ქვეყანაში განთქმულია პურის მოსავლით, მაგრამ ამერიკა მაინცა სჯობნის. რაც ინდოეთში პური მოდის, ამერიკაში ერთი სამად მეტი მოდის თურმე. რამდენად დიდი მოსავალია პურისა ამერიკაში, შემდეგის მაგალითით მტკიცდება: რომ შეიძლებოდეს სასწორის ერთ თეფშზედ ამერიკის მცხოვრებნი მოვაქციოთ და მეორე თეფშზედ რაც ხორბალი მოვართს წილიწადს, ხორბალი ერთი ოთხად მეტს აიტანს.

არც ერთს სახელმწიფოში არ არის იმდენი რკინის გზა, რამდენიც ამერიკაშია. აქაურ რკინის გზების ლიანდაგები რომ ერთმანეთს გადავაბათ, მთელს დედამიწის ზურგს შვიდჯერ შემოსწვდება. ყოველ წელიწადს ამერიკის რკინის გზის მატარებლები ყველანი ერთად ისეთს მანძილს გაივლიან, რომელიც ერთი სამად აღემატება, დედამიწისაგან მზემდე რაც მანძილია.

რამდენად განვითარებულია ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობა და საზოგადო ცხოვრება, შემდეგი ცნობები ამტკიცებს. მთელს ამერიკაში 70,360 კანტორაა ფოსტისა, გერმანიაში კი 30,372-ს არ აღემატება. გამოანგარიშებულია, რომ მთელ დედამიწის ზურგზედ წელიწადში 8 მილიარდი წერილი იგზავნება და ამ რიცხვიდგან თითქმის 4 მილიარდი ამერიკას ეკუთვნის. ასე რომ მარტო ამერიკაში იმდენი წერილი იგზავნება ყოველ წელიწადს, რამდენიც ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანიაში, შვეიცარიაში და რუსეთში. შეერთებულ შტატებში ფოსტის გზები რომ შევაერთოთ, ერთი ორად მეტს მანძილს დაიჭერს, ვიდრე დედამიწიდგან მთვარემდე მანძილია. ორთა შუა რიცხვით ამერიკის თითო მცხოვრებზედ წელიწადში 126 წერილი მოდის.

ამ მაგალითებზედ უფრო მეტად ამერიკის ცივილიზაციას ამტკიცებს იქაური სკოლები. 100 კაცზედ ამერიკაში 33 მოსწავ-

---

საუზმე დილის 9 საათზედ არის ხოლმე. სადილობამდე ინგლისელი აღარასა სჭამს, თუმცა სადილი ძლიერ გვიან იციან, 5—7 საათზედ.

დიდს საჭიროებათ მიაჩნიათ ინგლისში, როგორ უნდა ეჭიროს კაცს თავი სადილის დროს და ამიტომ კარგი დედა დროსა და მოცალეობას არა ჰზოგავს, რომ ბავშვებს დაასწავლოს ეს მეცნიერება. საზოგადოდ, ზრდილობიანობა და კარგი დაჭერა თავისა ინგლისელის ხასიათის თვისებაა. კარგად გაზრდილი და კარგის ოჯახის კაცი სადილის დროს სწორედა ზის, მაგიდას ნიდაყვით არ დაეყრდნობა, ბავშვებს ასწავლიან, როგორ უნდა ეჭიროს დანა, ჩანგალი, როგორ უნდა აიღოს ჭიქა, მიიტანოს პირთან და სხვ. ყველა ამ წვრილმანებს ინგლისელი დიდს ყურადღებას აქცევს და ვინც ისე არ მოიქცევა სადილის დროს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, ყველანი გაჰკიცხავენ და ასე იტყვიან, ეტყობა ცუდის ჩამომავლობის კაცია, გაუზდელია და არაფერი იცისო.

საღამოს 7—8 საათზედ, სადილისთვის რომ სუფრის შლას დაიწყებენ, ქალები თავ-თავიანთ საწოლ ოთახებში მიდიან ტანთ-საცმელის გამოსაცვლელად. უნდა მოგახსენოთ, რომ ინგლისში ყველა ქალები მისდევენ ამ ჩვეულებას და ყოვლად შეუძლებელია, რომ კარგის ოჯახის ქალმა სადილისთვის ტანთ-საცმელი არ გამოიცვალოს. ბევრს ადგილას ჩვეულებად არის მიღებული, რომ სადილად უეჭველად წვნიანი უნდა იყოს. ინგლისში-კი სულ სხვაა. წვნიან საჭმელს ეგრე რიგად არ ეტანება ინგლისელი. მხოლოდ ხანდახან მოიტანენ ხოლმე ერთად წვნიანსა და თევზს, ზოგი ერთს ირჩევს და ზოგი მეორეს. თევზისა და შემწვარ ს ხორცის გარდა სადილად იციან ბევრნაირი პუდინგი, ტორტი, პაშტეტი (ნადირის ხორცი დაკეპილი). სასმელებში ყველაზე მომეტებულად ინგლისელს უყვარს ელი, პორტერი. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ინგლისელი საზოგადოება ბევრსა სვამს ამ სასმელს და აგრეთვე ფუნშს, არაყს, აბსენტს და სხვ.

თუ სადილად სტუმრები არ არიან, სადილის შემდეგ მთელი ოჯახი ერთად ატარებს დროს. ოჯახის პატრონი ბუხარს მოუჯდება ხოლმე და საღამოს გაზეთსა კითხულობს, ახალგაზდობაც ზოგი წიგნსა კითხულობს, ზოგი სურათებსა სინჯავს, ზოგი მუსიკას უკრავს ზოგი ხელსაქმობს და სხვ. ზამთარში მთელ საღამოს ბუხარი ღუღუნებს და ამ ბუხართან არის ხოლმე საღამოთი შეკრებილი მთელი ოჯახი. ზაფხულში-კი ბუხარს ყვავილებითა და მწვანით მორთავენ ხოლმე.

ათის ნახევარზედ ბავშვები დასაძინებლად მიდიან და სასადილო ოთახში მხოლოდ დიდრონები რჩებიან. მერე მოაქვთ ღვინო, ტკბილი სასმელები და ბისკვიტი და ყველანი მხიარულს მასლაათს გააბამენ.

ოჯახს ინგლისელისთვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, ოჯახი ყველაფერს ურჩევნიან. აქაც, როგორც ყოველსავე საქმეში, ინგლისელმა გარდამეტება იცის ყველაფრისა. ოჯახის თითოეულ წევრს ისეთი თავისუფლება აქვს მინიჭებული, როგორსაც სხვა სახელმწიფოში ვერსადა ჰნახავს კაცი და ამავე დროს თითოეული წევრი მოვალეა ემსახუროს ოჯახს და საზოგადოებას. თითოეულს წევრს მინიჭებული აქვს თვის მოვალეობა, რომლის აუსრულებლობა სასტიკს სასჯელს გამოიწვევს უფროსისაგან.

შეძლებულის ინგლისელის ოჯახი ყოველთვის საკმაოდ დიდია: კარგა საკმაოდ ბავშვები, გუვერნანტკები, გუვერნერები, მამიდები, დეიდები და მრავალი მოსამსახურე. მაგრამ, რაც უნდა დიდი იყოს ოჯახი და რაც უნდა ბევრი ყმაწვილი იყოს, აქ ვერა ნახავთ და ვერ გაიგონებთ ვერც ჩხუბსა და ყვირილს, ვერც ალიაქოთსა და ჟრიამულს, ვერც ერთმანერთის კილვა-კიცხვას, ერთმანერთის დაბეზღებას, ენა-ტონიაობას უფროსთან და სხვ. მთელი ოჯახი მეტად წყნარადა და წესიერადა სცხოვრობს. საზოგადოდ ინგლისში ძლიერ იშვიათად შეხვდებით ისეთს ქალს, რომელიც მხოლოდ ჩაცმადახურვაზე და მორთვაზე ჰფიქრობდეს და უქმად ატარებდეს დროს. არც თავგასული, თავნება და განებიერებულ ბავშვსა ჰნახავთ, რომელიც ბევრგან მთელს ოჯახსა სტანჯავს და თავს აბეზრებს ყველას; უფრო იშვიათად შეჰხვდებით ისეთს თავ-ნება და ჯიუტს მამას, რომელიც მთელს ოჯახსა სტანჯავდეს, რა არის ჩემი ნება ასრულდეს ყველაფერშიო. თავისუფალ დროს ბავშვები დარბიან, თამაშობენ. ინგლისელი კაცი სცდილობს სიყრმიდგანვე ყველაფერს მიაჩვიოს ბავშვი. სულ პატარა ბავშვები სცურავენ წყალში, ადიან მაღალ ხეე ზედ და დააჭენებენ ცხენებს. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ ინგლისელი ბავშვები სიყრმიდგანვე ჯანსაღები არიან და აგრეთვე მამაცნი და გამბედავნი. წარჩინებულ და მდიდარ კაცის შვილებიც სიყრმიდგანვე ეჩვევიან ყოველ გვარ განსაცდელის ატანას, მოთმინებას, სიმამაცეს. ბავშვები ერთმანეთს ეჭიდებიან, კრიობენ, ბანაობენ წყალში ხშირად ზამთარშიაც, დააჭენებენ ცხენებს და საზოგადოდ უფრო მეტს დროს ატარებენ გარედ, ვიდრე ოთახში. ყოველივე ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ინგლისელი ჯან-საღი კაცია და სიყრმიდგანვე ეჩვევა ჯაფას, შრომას და ყოველგვარ უბედურობისა და განსაცდელის ატანას.

ა. ნ.

ლე მოდის, გერმანიაში 19, საფრანგეთსა და ინგლისში 15. სკოლებზედ ამერიკა წელიწადში 280 მილიონ მანათს ჰხარჯავს.

არც ერთს სახელმწიფოში არ არის იმდენი სამკითხველო და ბიბლიოთეკა, რამდენიც ამერიკაშია. 1891 წელს ამერიკაში 3,804 ბიბლიოთეკა იყო ისეთი, რომელშიაც 1,000 წიგნზედ ნაკლები არა ყოფილა. მთელის ამერიკის ბიბლიოთეკებში ითვლება სულ 31,176,354 წიგნი. რაც შეეხება სასკოლო ბიბლიოთეკებს, იმათში 12 მილიონზედ მეტი წიგნია თურმე. რაც მთელის ევროპის ბიბლიოთეკებში წიგნებია, სულ ერთად რომ თავი მოვუყაროთ, მაინც იმდენს არ შეადგენს, რაც მარტო ამერიკაში წიგნია.

მრეწველობითაც ყველა სახელმწიფოს გაასწრო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. რაც აქ ბამბა მოდის, მთელის ქვეყნის მოსავლის ოთხ მეხუთედს შეადგენს.

რაც შეეხება ფულის შემნახველ კასებს, ეს ცნობანი სწორედ რომ საოცარია, 1894 და 1895 წლებში შეერთებულ შტატების შემნახვლ კასებში ფული შეუტანია 4,875,519 კაცს. ეს რიცხვი შეადგენს მცხოვრებთა რაოდენობის მეთოთხმეტე ნაწილს, ასე რომ 14 კაცზედ ერთს ფული ჰქონია კასაში შენახული. სულ შემნახველ კასებში შეუტანიათ ამერიკელებს 1,810,597,023 დოლარი (დოლარი ორ მანათს უდრის). მაშასადამე გაცილებით უფრო მეტი, რაც-კი რომ ფული შენახულა ინგლისისა, საფრანგეთისა, რუსეთისა, იტალიისა, ესპანიისა, შვეციისა, ნორვეგიისა და შვეიცარიის შემნახველ კასებში.

ეჭვი არ არის, რომ ამერიკა მართლა მდიდარი სახელმწიფოა. 1890 წელს მომხდარ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ამერიკის სიმდიდრე ფასობს 65 მილიარდი დოლარათ. ოქროთი ამ ფულის წარმოდგენაც-კი ძნელია. ამდენი ფულის წაღება რომ შეიძლებოდეს რკინის გზით, სულ ოქროთი, უნდა დაიტვირთოს 123,570 ვაგონი.

### სასამართლოს მატიანე

3 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ებრაელ წვეთაშვილების სახლის აკლებისა. სამართალში მიცემულნი იყვნენ შორაპნის მაზრის აზნაური დათიკო კორძაია და იმავე მაზრის გლეხნი კონსტანტინე ხეცაძე, ეგნატე გოგჩილაძე, იპოლიტე ხეცაძე და ლევან ტალახაძე, საქმე ასე ყოფილა: შორაპნის მაზრის სოფ. ნებბერში 5 ოქტომბერს, ღამით, 1896 წ. შეიარაღებულნი თავს დასხმიან ებრაელ ვაჭრების ისხაკა, დავით და აბრამ წვეთაშვილების სახლს. ამ ღამეს სახლში მყოფთ კარების კაკუნი შეესმათ და გამოეღვიძათ თურმე; ამ დროს სახლის კარებიც შეამტვრიეს და შევიდნენ ორნი შეიარაღებულნი, რომელთაც ხელში ხანჯლებითა და რევოლვერებით დაუწყეს ფულის თხოვნა. მესამე დამნაშავე, რომელიც გოგჩილაძედ იცნეს აკლებულთ კარებში იდგა გარედგან და ხელში ამოღებული ხანჯალი ეჭირა. შეშინებულმა ებრაელებმა, რაც-კი ფული, ან საქონელი ჰქონდათ, მაშინვე თურმე ყაჩაღებს მისცეს, რომელთაც ყოველივე გარედ მდგომარე ამხანაგებს გადასცეს. შემდეგ უბრძანეს აკლებულთ, ხმა არ ამოიღოთ, თორემ დაგხოცავთო, და გაიქცნენ.

სასამართლოს გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ყველანი დამნაშავენი არიან წვეთაშვილების სახლის აკლებაში. სამოსამართლო პალატამ ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა და დამნაშავეთ კორძაის, კონსტანტინე ხეცაძეს, იპოლიტ ხეცაძეს, ეგნატე გოგჩილაძეს და ლევან ტალახაძეს მადნებში სამუშაოდ გაგზანა მიუსაჯა: ტალახაძეს რვა წლით, ხოლო დანარჩენთ თორმეტ თორმეტის წლით.

### შეცდომის გასწორება

გუშინდელს სასამართლოს მატიანეში შეცდომით გვქონდა ნათქვამი, რომ დავით კეზელს იცავს ტურკოვსკიო, უნდა იყოს: „ტურკევიჩი".

## წვრილი ამბავი

გაზეთ „Кавказъ"-ში სწერია: სოფელ ახალდაბაში სცხოვრობს ამ ჟამად სამოცის წლის მოხუცი სახელად თედო, რომლის შესახებ ზოგი ამბობს კაცი არისო და ზოგი ამტკიცებს—ქალიაო. ასე ამბობენ, ეს თედო ქალი არისო და უწინ სახელად ქეთო ერქვაო, გვარად კობერიძე. ამ ქალის დედ-მამა ყმები იყვნენ აზნაურშვილის ხ—ძესი, რომელიც ფრონის ხეობაში სცხოვრობდა. დედ-მამა რომ დაეხოცა ქეთოს, ბატონმა გაჰყიდა მისი დები და ძმები და თვით ქეთო-კი მოსამსახურედ აიყვანა. ქალი წამოიზარდა, ბატონის სახლში ვერ გასძლო და გაიქცა. ქალი იპოვნეს და ისევ უკან დააბრუნეს. მერეც რამდენჯერმე აპირებდა ქალი გაქცევას, მაგრამ ვერ მოახერხა. მოთმინებიდგან გამოსულმა ბატონმა ქეთო 200 მანათად მიჰყიდა ერთს იმერელ მემამულეს. ამ ბატონსაც ქეთომ გამოუცხადა, ან თავისუფლება მომანიჭე, ან შეძლება მომეცი თავი დავიხსნა, ან არა და შენის ხელით მომკალი, თორემ მე თითონ მოვიკლამ თავსაო. მემამულე არც ერთზედ არ დასთანხმდა. მაშინ ქეთო გაიქცა, გადმოიარა ლიხის მთა და მტკვრის ნაპირას მოვიდა. აქ ქეთომ ჰნახა, რომ მეტივეები ტივის წაღებას აპირებდნენ. უამბო თავისი თავგადასავალი და სთხოვა, მეც თან წამიყვანეთო. მეტივეები დასთანხმდნენ, ჩააცვეს კაცის ტანისამოსი და ჩაიყვანეს ტფილისს. მებატონეს ასე ეგონა, ქალმა თავი დაირჩოო და აღარ უძებნია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბატონ-ყმობა გადავარდა, მაგრამ ქეთო ისევ ისე მამაკაცად დარჩა და თედოს სახელს ატარებს. ეს თედო. ანუ ქეთო ეხლა სოფ. ახალდაბაში სცხოვრობს, მამაკაცის ტანთსაცმელი აცვია, თმაც შეკრეჭილი აქვს, სოფლის ყრილობის დროსა, დღესასწაულისა და ქეიფის დროს მუდამ მამაკაცებში ურევია და სითამამით არც ერთს გლეხ-კაცს არ ჩამოუვარდება. ამ ჟამად ეს თედო 60 წლისაა და ამ წლოვანების შედარებით ძლიერ ახალგაზდა სჩანს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

4 სექტემბერი.

**სიმლა.** სამონასის მთებში ამას წინად რომ მტერმა სასგარარის სადარაჯო დაიპყრო, ინგლისელებმა უკან დაიბრუნეს. გენერალმა იტმენ ბიგგსმა გულისტონში ლოკორტის სიმაგრიდგან მტერი განდევნა და ინგლისის არტილერიამ განფანტა.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამ ორიოდე წლის წინად ბ-ნ ფარესაშვილის შემწეობით სოფ. ბალთაში (კავკავის ოლქი) დავიარსეთ უფასო პირველდაწყებითი სასწავლებელი. კავკავის ქართველობამ ამ სასარგებლო საქმეში ნივთიერი დახმარება აღმოგვიჩინა და სიით შეგვიგროვა სამოციოდე მანეთამდის.

ეს ფული დღეს შეტანილია შესანახად სახელმწიფო ბანკის განყოფილებასთან დაარსებულ შემნახველ-გამსესხებელ კასსაში კავკავს. მიღების ბარათი, რადგანაც ჩვენ ბალთას სამუდამოდ თავი დავანებეთ, გადავეცით ბ-ნს კვიჟინაძეს.

გარდა ამისა, ბ-ნთ ივ. მიხ. ჩიტაშვილმა, ბოღდან დავითის ძემ ევანგულოვმა, ნიკოიოსების ძემ მაჰავარიანმა და გიორგი ბურდულმა შემოგვაწიეს თხუთმეტიოდე მანეთის ღირებული სახელმძღვანელოები, რისათვისაც გულითადს მადლობას ვუძღვნით შემომწირველთ. ამ უკანასკნელ შემოწირულებიდგან ცოტაოდენი დაურიგეთ ბავშვებს და დანარჩენი გადავეცით ბ-ნ კვიჟინაძესავე შესანახად.

დღეს ზემო მოხსენებული სასწავლებელი აღარ არსებობს: ბ-ნმა ფარესაშვილმა ბალთაში სამსახურს თავი დაანება. ეს სასწავლებელი არც თუ შემდეგში იარსებებს: მომავალ მარტისთვის ბალთელი ქართველობა მთლად იქიდგან აიყრება და გადასახლდება კავკავის მახლობლად სახელმწიფო ადგილზედ.

ამის გამო, რადგანაც გამოღებულმა წვლილმა თავისს დანიშნულებას ვერ მიაღწია, უმორჩილესადა ვთხოვთ პატივცემულ შემომწირველთ მოახდინონ საერთო კრება და გადასწყვიტონ რას უფრო უმჯობესად მიაჩნიათ მოხმარდეს იმათი შემოწირულება.

დათიკო ჭონიშვილი

დ. ცხინვალი.

## განცხადებანი


ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24)

გამოვიდა და ისყიდება ახალი ქართული წიგნები:

1) „ბუნება და ცხოვრება", თხზ. ილია ალხაზიშვილისა, ფასი გაგზავნით 60 კაპ.

2) „ჩვენს ქალებს", ფრიად საჭირო წიგნი ჩვენი ქალებისათვის—20 კაპ.

3) „ახალი საუკეთესო წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში"—10 კაპ.

4) ალბომი „ქართველთა ტომი" ასის სურათით, ყდით და გაგზავნით 3 მან. 40 კაპ.

ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. 3—166—1.

**სასწავლებელი და პანსიონი**

კოლეჟსკი ასესორის ივ. ზ. ტერსტეფანოვისა ამზადებს გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის და ასწავლის აგრეთვე ბუჰგალტერიას. ფასი თვეში 5 მანათიდგან, სწავლის პონსიონში 15 მანეთიდგან. ბუჰგალტერიის კურსი 25 მანეთიდგან. ვარანცოვის ძეგლთან, ელისაბედის ქუჩა, № 30. (10—157—7)

**იძლევა ქირით**

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

შუა სართულში ა თ ი ო თ ა ხ ი, წყლით, საბანებელით და სხვა მოწყობილობებით და ზემო სართულში ხ უ თ ი ო თ ა ხ ი თავისის მოწყობილობებით.

10—3

**მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა.**

დაიწყება ორივე სქესის მოსწავლეთა მიღება 25 აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში, ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა-პოსერბსკის სახლებში, № 12. სწავლა დაიწყება 1-სექტემბერს.

(10—უ—6)

**საკომერციო კურსები**

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ფ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—24)




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




**ქარხანა**

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

**ა. ა. თუთაევისა**

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (заводъ красокъ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული საღებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს საღებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასალესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წ ვ რ ი ლ ა დ გ ა ს ა ყ ი დ ა დ ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება—ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარაშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს საღებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ზეის გამოგზავნით 20°/o ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—9)